



საქართველოს სპორტცეკვების  
ეროვნული ფედერაცია  
**Georgian National DanceSport  
Federation**



0119 ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. #126  
GE-0119, Tbilisi, Akaki Tsereteli Ave. #126,  
Ph/Fx: (+995 32) 2 35 52 75; Ph: (+995 790) 34 41 51  
E-mail: [gnsdf@hotmail.com](mailto:gnsdf@hotmail.com) [www.gnsdf.ge](http://www.gnsdf.ge)

ქ.თბილისი, 2014 წლის 10 დეკემბერი

**პრეს-რელიზი**

**საკითხი: საერთაშორისო ჩემპიონატი ევროპულ და ლათინო-ამერიკულ ცეკვებში აღმოსავლეთ ევროპის თასის მოსაპოვებლად - 13.12.2014**

გაცნობებთ, რომ ისრაელის კულტურისა და სპორტული ცეკვის საბჭო და საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭო ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 13 დეკემბერს - ქ. თბილისში - მათი ორგანიზებით - სპორტ-კომპლექს „არენას“ დარბაზში, გაიმართება საერთაშორისო ჩემპიონატი ევროპულ და ლათინო-ამერიკულ ცეკვებში აღმოსავლეთ ევროპის თასის მოსაპოვებლად.

საერთაშორისო ჩემპიონატი ტარდება მსოფლიო ცეკვების საბჭოს (WDC-ს) ეგიდით.

თითქმის ყველა არხზე გავიდა ინფორმაცია ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით და სხვადასხვა მედია საშუალებამ სხვადასხვა რანგი მიანიჭა ამ შეჯიბრს. ასე მაგალითად: საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასულ სიუჟეტში ევროპულ ამონატებული იყო, რომ ეს არის "მსოფლიო ცეკვების ჩემპიონატი"; რუსთავი2-ზე გასულ სიუჟეტში ნახსენები იყო "სპორტული ცეკვების ოლიმპიადა" აღმოსავლეთ ევროპის თასის მოსაპოვებლად; იმედი ტვ-ს დილის, შუადღის და საინფორმაციო გადაცემის ეთერში ნახსენები იყო "საერთაშორისო ჩემპიონატი" რომელიც "პირველად" ტარდება საქართველოში აღმოსავლეთ ევროპის თასის მოსაპოვებლად და სადაც მონაწილეების - ათლეტების და წყვილების (300-ზე მეტი), ასევე ქვეყნების (13-ზე მეტი) "უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა" დაფიქსირდა. მონაწილე ქვეყნებია: გერმანია, ავსტრია, რუსეთი, იტალია, აზერბაიჯანი, ისრაელი, ინგლისი, სომხეთი, პოლონეთი, კანადა, აშშ, უკრაინა და საქართველო. შეჯიბრებების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქ-ნ ლიზი მორმა - შეთავაზება გაუკეთა იმედის შუადღის ეთერიდან ყველას, ვინც კი სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებში არის ჩართული - მივიდეს 13 დეკემბერს სპორტ კომპლექს "არენაში", მონაწილეობა მიიღოს - "მარათონში და დამჯანცველ დოღში" (მისი სიტყვების ციტირება), რათა დაამტკიცოს თავის ტიტული და კვალიფიკაცია!

ასევე გავიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "პირველად საქართველოში" ჩატარდება მასტერ-კლასები და სემინარები. საქართველოს პირველად ესტუმრება ბრაიან უოთსონი (ლათინო-ამერიკული ცეკვების ცხრა გზის მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალებში - ეს უკანასკნელი ნამდვილად სიმართლეა!), სხვა მაღალი რანგის სპეციალისტები და ასევე "პირველად" მოგვეცემა შესაძლებლობა ვიხილოთ მსოფლიო ჩემპიონი წყვილი 10 ცეკვაში აზერბაიჯანიდან - ელდარ ჯაფაროვი და ანა საჟინა (რომლებიც ცხოვრობენ იტალიაში, თუმცა მეცადინეობენ ინგლისში და წარმოადგენენ აზერბაიჯანს)!

**საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაცია აპროტესტებს** მასმედიით გასულ ზემოთ ხსენებულ ინფორმაციას, ვინაიდან იგი შეიცავს ძალიან ბევრ ხარვეზს და უზუსტობას.

აღნიშნული პრეს-რელიზით გვსურს ყველა დაიტერესებულ მხარეს მივაწოდოთ ჩვენი არგუმენტები და მოვლენების რეალური არსი:

1. **13.12.2014 - ქ. თბილისში ტარდება აღმოსავლეთ ევროპის თასის გათამაშება** და ეს შეჯიბრი ლიცენზირებულია მსოფლიო ცეკვების საბჭოს მოყვარულთა ლიგის მიერ - WDC AL World Dance Council Amateur League - იხილეთ ვებ-გვერდი.  
<http://www.wdcamateurleague.com/index.php/event-calendars/competition-calendars>

ანუ ეს არ არის: არც მსოფლიო ჩემპიონატი! არც საერთაშორისო ჩემპიონატი! არც სპორტული ცეკვების ოლიმპიადა! არამედ ეს არის - შპს მსოფლიო ცეკვის საბჭოს (World Dance Council Ltd) მოყვარულთა ლიგის მიერ ლიცენზირებული შეჯიბრი - კერძოდ კი - აღმოსავლეთ ევროპის თასის გათამაშება! ეს ინფორმაცია ოფიციალურად დევს მათ საიტზე და ხელმისაწვდომია ყველასთვის! ასევე საკონტაქტო ინფორმაციაში პირდაპირ არის მითითებული რომ ეს ორგანიზაცია არის შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - სახელწოდებით - World Dance Council იხილეთ ლინკი: <http://www.wdcamateurleague.com/index.php/contact-us>

2. ჩვენ საგანგებოდ მივუთითეთ და გავამახვილეთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ეს შეჯიბრი ლიცენზირებულია არა მსოფლიოში აღიარებული სპორტული ფედერაციის მიერ, არამედ კერძო შპს-ს მიერ. შესაბამისად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ღონისძიებას დარქმეოდა ფესტივალი და არა ჩემპიონატი!

World DanceSport Federation (<http://www.worlddancesport.org/>) – შემდგომ ტექსტში WDSF, რომლის ერთადერთი წევრი საქართველოში არის ჩვენი ფედერაცია (სსცეფ), აღიარებულია:

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ <http://www.olympic.org/> და ყველა ატორიტეტული სპორტული ორგანიზაციის მიერ, როგებიცაა: SPORTACCORD, ARISF, WORLDGAMES-IWGA და IMGA.

WDSF-ში გაწევრიანებულია 95 წევრი ქვეყანა (პრინციპით: 1 წევრი - 1 ქვეყნიდან) და დარეგისტრირებულია 3 მინიონზე მეტი მოცეკვავე წყვილი ანუ 6 მილიონი ათლექტი.

3. WDSF-ის (2012 წლამდე ეს ორგანიზაცია იყო IDSF) ლიცენზიით საქართველოს სპორტცეკვების ეროვნულმა ფედერაციამ უკვე 7-ჯერ (და არა პირველად) ჩაატარა აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატი ქ. თბილისში!

- |  |              |
|--|--------------|
| 1. IDSF East European Latin Championship     | (20.05.2001) |
| 2. IDSF East European Latin Championship     | (12.05.2002) |
| 3. IDSF East European Ten Dance Championship | (18.05.2003) |
| 4. IDSF East European Ten Dance Championship | (15.05.2004) |
| 5. IDSF East European Latin Championship     | (12.05.2005) |
| 6. IDSF East European Ten Dance Championship | (13.05.2006) |
| 7. IDSF East European Latin Championship     | (14.11.2009) |

**2003 წელს აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონები გახდნენ საქართველოს წარმომადგენლები Alexandr Tchesnokov – Salome Lomsadze Georgia**

ხოლო 2004 წელს უკვე ახალ მეწყვილესთან აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონები კვლავ გახდნენ საქართველოს წარმომადგენლები

**Alexander Demkin - Salome Lomsadze Georgia**

დღეს სალომე ლომსაძე არის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი და საქართველოს სახელით ის მსაჯობს მრავალ საერთაშორისო შეჯიბრს და ჩემპიონატს.

4. ელდარ ჯაფაროვი და ანა საჟინა - აზერბაიჯანიდან, რომლებიც "პირველად" უკვე ეწვივნენ საქართველოს 2014 წელს, ჩვენი ფედერაციის მიერ ორგანიზებულ აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატში 10 ცეკვაში 2006 (13.05.2006) უკვე იასპარეზეს, სადაც დაიკავეს მესამე საპრიზო ადგილი. ამ შეჯიბრის პროტოკოლი და ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ და გადაამოწმოთ შემდეგ ლინკზე:

[http://www.dancesportinfo.net/Competition/The\\_Caucasian\\_Open\\_2006\\_2282/IDSF\\_East\\_European\\_10\\_Dance\\_11509/Results](http://www.dancesportinfo.net/Competition/The_Caucasian_Open_2006_2282/IDSF_East_European_10_Dance_11509/Results)

5. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წელს საქართველოში ჩვენი ფედერაციის მიერ ჩატარებულ შეჯიბრს - **WDSF WORLD OPEN LATIN** - მსოფლიო ღია რეიტინგული შეჯიბრი ლათინო-ამერიკული ცეკვების პროგრამით, რომელიც ასევე გაიმართა სპორტკომპლექს "არენაში" - მხოლოდ უფროსების ქვეჯგუფში - მონაწილეობა მიიღო 55 მოცეკვავე წყვილმა 18 ქვეყნიდან - იხილეთ ლინკი:

[http://www.worlddancesport.org/Event/Competition/World\\_Open-Tbilisi-19771/Adult-Latin-46420/Ranking](http://www.worlddancesport.org/Event/Competition/World_Open-Tbilisi-19771/Adult-Latin-46420/Ranking)

ხოლო კავკასიის თასს, რომელიც წელს მე-19-ჯერ გაიმართა (და არა პირველად) ემსახურებოდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები 15 ქვეყნიდან, ხოლო შეჯიბრში 3 დღის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო 700-ზე მეტმა ათლეტმა.

შესაბამისად, თუკი 13 დეკემბერს ჩასატარებელ შეჯიბრში, ძირითად ქვეჯგუფში - უფროსი ასაკის მოცეკვავეები 19-35 წწ - Adults **დარეგისტრირებულია 15 წყვილი 7 ქვეყნიდან** (და არა 13 ქვეყნიდან, როგორც ეს ყველა საინფორმაციო საშუალებამ გადასცა) - რატომ არის ეს 55 წყვილზე ან 18 ქვეყანაზე მეტი?? ანუ იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენი ფედერაციის ორგანიზებით უკვე ჩატარებული მსოფლიო ღია რეიტინგული შეჯიბრი ა.წ. მაისის თვეში?! და რატომ არის ეს "ეპრეცედენტი"???

ეს არის დიდების ქვეჯგუფის სარეგისტრაციო ფურცელი 13.12.2014 შეჯიბრების ლინკი: <http://iccds-dance.com/entries/?mode=couples&cat=5&p=36>

ამ პრეს-რელიზით ჩვენი მთავარი გზავნილი არის ის, რომ ჩვენს დეფერაციას ჰყავს ძალიან ბევრი ათლეტი, ვატარებთ მსოფლიო მამუტაბის შეჯიბრებებს ბოლო 20 წლის განმავლობაში და არა "პირველად"! გვყავს წარმატებული მოცეკვავე წყვილები! მრავალი ჩემპიონატის პრიზიორები და ფინალისტები! წარმატებული მსაჯთა კორპუსი - საერთაშორისო კატეგორიის მსაჯების ჩათვლით, რომლებიც აქტიურად მსაჯობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში! ვატარებთ რეგულარულად მასტერ კლასებს და სემინარებს წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით! ჩვენი ფედერაციის წამყვანი მოცეკვავეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა სატელევიზიო პროექტებში - მათ შორის ყველაზე რეიტინგულ პროექტში "ცეკვავენ ვარსკვლავები" და უკვე ყველა ჩვენს მოცეკვავეს სახელებით ცნობს სრულიად საქართველოს მოსახლეობა და ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს მუშაობას და ვემზადებით მომდევნო მსოფლიო რეიტინგული შეჯიბრებებისთვის, რომელიც კვლავ 2015 წელს გაიმართება ქ. თბილისში და ქ. ბათუმში.

თქვენც გისურვებთ წარმატებებს - თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში უფრო ზუსტ და გადამოწმებულ ინფორმაციას მიაწვდით ტელემაყურებელს.

საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი